აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 31

5 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

## პარტიული სიისა და უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, 41-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, რეგისტრაციაში გატარდეს საარჩევნო ბლოკის ,,გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ პარტიული სია და პარტიული სიით წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები (გარდა პარტიული სიის რიგით №35 უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი ნატალია გორგაძე).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე